

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ზ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ზუცხრიკიძე

„4“ 11 „ 2013 წელი

გვ 2

დმანისის მუნიციპალიტეტის 2009-2012 წლების საფინანსო-სამეურნეო
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *აღ 37/00*

2013 წელი

შინაარსი

შესავალი	3
აუდიტის ძირითადი მიზანი	3
ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ	4
დმანისის მუნიციპალიტეტი.....	4
დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა.....	4
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ	5
დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მოხრეშვის სამუშაოები	8
საბავშვო ბაღები.....	9
წყლის სიტემის რეაბილიტაცია.....	10
გომარეთის წყლის სისტემის რეაბილიტაცია	10
ორმოცწაროს წყალსადენი ხაზის მოწყობა	12
დასუფთავების სამსახური	13
საკრებულოს დეპუტატების ხარჯების ანაზღაურება	14
ინერტული მასალის მოპოვება	15
იჯარები.....	16
პრემიები და საკადრო პოლიტიკა.....	18
პირგასამტეხლოს დაკავება	19
საპროცენტო შემოსავლები	20
ალურიცხავი აქტივები.....	21
საწვავის ხარჯი	21
შესყიდვები	22
არამიზნობრივი ხარჯი	23
ტრენაჟორი	25
მოქალაქეთა მისაღების პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა	25
სახაზინო (საბიუჯეტო) კომპიუტერული პროგრამა.....	26
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	Error! Bookmark not defined.
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	Error! Bookmark not defined.

შესავალი

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ა) 2009-2012 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ფინანსური სახსრების მართვისა და ხარჯვის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე დასაბუთებული რწმუნების მოპოვება;
- ბ) დმანისის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების კანონშესაბამისობაზე დასკვნის გაცემა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით აუდიტორებს მოეთხოვებათ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა დმანისის მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტი

დმანისის მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მიმდინარე ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს.

დმანისის მუნიციპალიტეტის ფართობი განისაზღვრება 1198.8 კვ.კმ-ით, რომელიც მოიცავს 1 ქალაქს და 15 ტერიტორიულ ერთეულში გაერთიანებულ 55 სოფელს. 2012 წლის მონაცემებით, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 28500 ადამიანს. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს 6 ა(ა)იპ.

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის მაჩვენებლების (შემოსულობები, გადასახდელები) დინამიკა 2009-2012 წლებში ნაჩვენებია ცხრილში N1:


ცხრილი N 1: ბიუჯეტის მაჩვენებლები 2009-2012 წლები (ათასი ლარი)

	2009	2010	2011	2012
შემოსულობები	4523,7	5451,1	7584,8	8138,2
შემოსავლები	4337,6	5116,4	7317,2	7783,4
მ.შ. გადასახადები	<u>335,7</u>	<u>861,6</u>	<u>2181,4</u>	<u>2813,8</u>
არაფინანსური აქტივების კლება	186,1	334,7	267,6	354,7
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0	0,1
ვალდებულებების ზრდა	0	0	0	0
გადასახდელები	4371,3	5523,8	6339,2	7820,5
ხარჯები	1829,3	2162,9	3648,4	4018,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	2542	3360,9	2690,8	3801,9
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0	0
ვალდებულებების კლება	0	0	0	0
ნაშთის ცვლილება	152,4	-72,7	1245,6	317,7

2009-2012 წლებში აღინიშნება შემოსულობებისა და გადასახდელების მაჩვენებლების ზრდის ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს გადასახდელებმა გადააჭარბა შემოსულობებს, რაც დაბალანსდა არსებული ნაშთის ცვლილებით. 2011 წელს ნაშთის ცვლილების მაღალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია გადასახდების დაგეგმილ და საკასო მაჩვენებლებს შორის დიდი სხვაობით, კერძოდ, გაიზარდა ქონების გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე და სხვა შემოსავლები.

დმანისის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები, რაც 2009 წელს მთლიანი შემოსავლების 78%-ს შეადგენს, ხოლო ეს უკანასკნელი 2012 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა და განისაზღვრა შემოსავლების 43%-ით. 2009-2012 წლებში ტრანსფერები წარმოადგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

დიაგრამა 1: ტრანსფერების დინამიკა წლების მიხედვით (ათასი ლარი)



პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

გზის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა

2012 წლის 1 მაისს დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზის სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე, სავარაუდო ღირებულებით - 3224.5 ათასი ლარი. გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა

პრეტენდენტმა, კერძოდ, შპს „აზერტუნელი“ საბოლოო სატენდერო წინადადება ღირებულებით - 2599.9 ათასი ლარი; შპს „ტ.ტ“ – 2600.0 ათასი ლარი და შპს „ნიუ ენერჯი“ – 2715.0 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით სამივე პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა სატენდერო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო.

შპს „ტ.ტ“-ს დისკვალიფიკაციის მიზეზად სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში მითითებულია პრეტენდენტის არასათანადო გამოცდილება, რის გამოც ის ვერ აკმაყოფილებდა ტენდერზე არსებულ მოთხოვნას. კერძოდ: ბოლო სამი წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოს ერთ მილიონ ლარზე მეტი ღირებულების შესრულების გამოცდილება.

ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილებად შპს „ტ.ტ.“-მ ტენდერში წარმოადგინა შპს „N2 საგზაო საექსპლოატაციო სამმართველოსთან“ ერთობლივი მონაწილეობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება (შეთანხმება). აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მხარეები თანხმდებოდნენ, რომ იურიდიული პირის შეუქმნელად, ერთობლივი საწარმოს სახით, მიიღებდნენ მონაწილეობას ამ კონკრეტულ ტენდერში და გამარჯვების შემთხვევაში, როგორც ერთობლივად, ასევე ცალ-ცალკე იღებდნენ პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებაზე. ამ შეთანხმებასთან ერთად, შპს „ტ.ტ.“-მ წარმოადგინა შპს „N2 საგზაო საექსპლოატაციო სამმართველოს“ მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ერთ მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულება შპს „ტ.ტ.“-სა და შპს „N2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოს“ შორის დადებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, რომლის თანახმად, ორ ან რამდენიმე პირს აქვს უფლება ერთობლივად იმოქმედონ საერთო სამეურნეო და სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულების საფუძველზე, იურიდიული პირის შეუქმნელად¹. ხოლო ტერმინი „პირი“ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - მუხლი 930

შესაბამისად, გულისხმობს საქართველოს, ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან საქართველოს კანონმდებლობით ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს².

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ტ.ტ.“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებდა ტენდერზე არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და არ არსებობდა საფუძველი აღნიშნული მიზეზის გამო სატენდერო კომისიას მოეხდინა შპს „ტ.ტ.“-ს დისკვალიფიკაცია. შედეგად, მუნიციპალიტეტი სავარაუდოდ სამუშაოების შესყიდვას განახორციელებდა 2600.0 ათას ლარად.

უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერის შემდეგ, 2012 წლის 26 ივნისს იმავე, სამუშაოებზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა ხელახალი ელექტრონული ტენდერი, სავარაუდო ღირებულებით - 3224.5 ათასი ლარი, ანუ გამოყენებულია იგივე სავარაუდო ღირებულება, რაც დაფიქსირებული იყო ტენდერის პირველად გამოცხადების დროს. ცვლილება შევიდა ტექნიკურ და საკვალიფიკაციო მოთხოვნებში. კერძოდ, პრეტენდენტს კვლავ ევალებოდა წარმოედგინა მინიმუმ ერთი მილიონი ლარის ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა აუცილებელი არ იყო, რომ ეს სამუშაოები შესრულებული ჰქონოდა ბოლო სამი წლის განმავლობაში.

მეორედ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „ტ.ტ.“-მ და გაიმარჯვა. ხელშეკრულება მიმწოდებელთან სამუშაოების შესრულებაზე გაფორმდა 3224.5 ათას ლარზე. აღსანიშნავია, რომ პირველად გამოცხადებულ ტენდერზე შპს „ტ.ტ.“-ს იმავე სამუშაოების შესრულებაზე საბოლოოდ მიწოდების ფასად დაფიქსირებული ჰქონდა 2600.0 ათასი ლარი, ხოლო მეორე, ხელახლა გამოცხადებულ ტენდერზე კონკურენციის არ არსებობის გამო მიიღო 624.5 ათასი ლარით მეტი.

² “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მოხრეშვის სამუშაოები

დმანისის მუნიციპალიტეტსა და შპს „ტ.ტ.“-ს შორის 2012 წლის 2 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება სხვადასხვა სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი იყო დმანისის მუნიციპალიტეტის 6 სოფელში: ბახჩალარში, შინდლარში, პანტიანში, შახმარლოში, ზემო კარაბულახსა და კიზილქილისში საავტომობილო გზის მოხრეშვის სამუშაოები. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო ამ სოფლებში სამუშაოების შესრულება შემდეგი პუნქტების მიხედვით:

1. ტერიტორიის მოწყობა-მოშანდაკება ბულდოზერით და გრეიდერით (6 სოფელში ჯამურად - 8383 კვ.მ);
2. ბალასტის მასალის ტრანსპორტირება კარიერიდან ობიექტამდე (6 სოფელში ჯამურად - 2450 ტონა);
3. საავტომობილო გზის სავალი ნაწილის მოწყობა ბალასტის მასალით სისქით 15 სმ (6 სოფელში ჯამურად - 1257 კუბ.მ).

შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება იყო 51.8 ათასი ლარი. 2012 წლის 15 ოქტომბერს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება: საერთო ღირებულება დარჩა უცვლელი, ხოლო ზემოთ აღნიშნული პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. ტერიტორიის მოწყობა-მოშანდაკების პუნქტი ხარჯთაღრიცხვიდან ამოიღეს;
2. ბალასტის მასალის ტრანსპორტირება დარჩა უცვლელად (2450 ტონა);
3. გაიზარდა მესამე პუნქტი და საავტომობილო გზის სავალი ნაწილის მოწყობა ბალასტის მასალით სისქე 15 სმ-ით განისაზღვრა 2913 კუბ.მ.

2012 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დმანისის მუნიციპალიტეტსა და შპს „ტ.ტ.“-ს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთა მიხედვითაც შპს „ტ.ტ.“-მ ამ სოფლებში კორექტირებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოები სრულად შეასრულა და შესაბამისად, აუნაზღაურდა 51.8 ათასი ლარი. ანუ მიმწოდებელმა, დოკუმენტების მიხედვით, ჯამურად ექვსივე სოფელში,

განახორციელა 2450 ტონა ბალასტის ტრანსპორტირება კარიერიდან და მოაწყო საავტომობილო გზის სავალი ნაწილი 2913 კუბ.მ. ბალასტის მასალით. არსებობს რისკი, რომ მიმწოდებელს 18.4 ათასი ლარი აუნაზღაურდა სამუშაოთა იმ ნაწილისათვის, რომელიც რეალურად არ შეუსრულებია. კერძოდ: როგორც მიღება-ჩაბარების აქტშია აღნიშნული, მიმწოდებელმა განახორციელა 2450 ტონა ბალასტის ტრანსპორტირება, ხოლო დაგებაში დაფიქსირებული აქვს 2913 კუბ.მ. მომწოდებლის მიერ 1 კუბ.მ ბალასტის წონით საზომში გადასაყვანად გამოყენებულია კოეფიციენტი 1.95. შედეგად, თუ მიმწოდებელმა განახორციელა 2450 ტონა ბალასტის მიწოდება-დაგება, რაც დაახლოებით არის 1256 კუბ.მ, ანუ 1657 კუბ.მ-ით ნაკლები, ვიდრე ეს მიღება-ჩაბარების აქტშია დაფიქსირებული. 1657 კუბ.მ ბალასტის მოწყობის ღირებულება შეადგენს 18.4 ათას ლარს და აღნიშნული თანხა აუნაზღაურდა მიმწოდებელს.

საბავშვო ბაღები

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 31 იანვრის განკარგულებით, ლიკვიდირებული იქნა ა(ა)იპ „დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“. აღნიშნული ა(ა)იპ აერთიანებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 7 საბავშვო ბაღს. ა(ა)იპ-ის ლიკვიდაციის შემდეგ სკოლამდელი განათლების პროგრამის განხორციელების მიზნით ხელშეკრულებები გაფორმდა ინდივიდუალურ მეწარმეებთან. ხელშეკრულების მიხედვით მუნიციპალიტეტმა აღნიშნულ ი/მ-ებს სარგებლობაში გადასცა ის ქონება, შენობა-ნაგებობები და ინვენტარი, რომლებსაც ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის სამსახური“ იყენებდა თავისი ფუნქციების შესასრულებლად. აღნიშნული ქონების საერთო საბალანსო ღირებულება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 275.1 ათას ლარს. თავის მხრივ, ი/მ-ებმა აიღეს ვალდებულება ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით და მშობელთა შენატანებით განეხორციელებინათ ის ფუნქციები, რომლებსაც ახორციელებდნენ ლიკვიდირებული ა(ა)იპ-ის დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაღები. სულ, 2011-2012 წლებში,

ინდივიდუალური მეწარმეები სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდნენ 149.2 ათასი ლარით.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებულ ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის მიერ ი/მ-ებისათვის სარგებლობაში გადაცემული ქონების (შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება შეადგენს 221.6 ათას ლარს) სანაცვლოდ სარგებლის მიღება. დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის საწყისი წლიური ქირის განსაზღვრის წესის შესაბამისად, საიჯარო ღირებულება შეადგენს უძრავი ქონების ღირებულების 5-10%-ს³. შესაბამისად, ქონების საბალანსო ღირებულებიდან გამომდინარე, ქირის სახით მუნიციპალიტეტს უნდა მიეღო წელიწადში მინიმუმ 13.6 ათასი ლარი. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად კი, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს კერძო სამართლის სუბიექტისათვის ქონების სარგებლობაში გადაცემა შეუძლია მხოლოდ სასყიდლიანი ფორმით⁴. აქედან გამომდინარე, ი/მ-ებისათვის ქონების სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაცემა იყო არაკანონიერი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 18 იანვრის განკარგულებით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები კვლავ დაფუძნდნენ როგორც არაკომერციული იურიდიული პირები.

წყლის სისტემის რეაბილიტაცია

გომარეთის წყლის სისტემის რეაბილიტაცია

2009 წლის 10 აპრილს სოფელ გომარეთის წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჰაუზდიზაინი“ სატენდერო ღირებულებით 84.8 ათასი ლარი. გარდა გამარჯვებული კომპანიისა, ტენდერში მონაწილეობას ღებულობდა კიდევ სამი კომპანია, რომელთაგან ორს სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული ჰქონდა შპს

³ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვრის N2-9 დადგენილება.

⁴ „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ მუხლი

„ჰაუსდიზაინთან“ შედარებით ნაკლები ფასი. კერძოდ, შპს „ავტობანი“ - 82.5 ათასი ლარი, ანუ 2,3 ათასი ლარით ნაკლები და შპს „ნოვა“ - 73.9 ათასი ლარი, ანუ 10,8 ათასი ლარით ნაკლები. მიუხედავად არსებული ფასთა სხვაობისა, აღნიშნული კომპანიები სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შეთავაზებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის მოტივით არ იქნენ დაშვებული შეფასებაზე და მოხდა მათი დისკვალიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა დაფიქსირებულიყო დისკვალიფიკაციის მიზეზი, მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი⁵, ხოლო სატენდერო კომისიის დანარჩენ ოქმებს, კომისიის ხუთი წევრიდან, ხელს აწერს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარე⁶. აღნიშნული ფაქტი ეწინააღმდეგება შესყიდვებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას, რომლის თანახმად, ტენდერში გამარჯვებულად ვლინდება ის პრეტენდენტი, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს კომისიის წევრთა სიითი უმრავლესობა⁷.

2009-2012 წლებში სოფელ გომარეთის წყლის სისტემისა და შიდა ქსელის რეაბილიტაციაზე სულ გახარჯულია 423.5 ათასი ლარი. მიუხედავად გაწეული ხარჯისა და აღნიშნულ სამუშაოებზე მუნიციპალიტეტის მიერ შემსრულებლებთან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებისა, ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით სოფლის ტერიტორიაზე, როგორც მთლიანი წყლის სისტემა, ასევე შიდა ქსელი გაუმართავია და არ ფუნქციონირებს. ფაქტს ადასტურებს გომარეთის თემის რწმუნებულის მიერ დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე წარდგენილი მოხსენებითი ბარათი და აუდიტის ჯგუფისათვის გაცემული წერილობითი განმარტება.

⁵ დმანისის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის წერილობითი განმარტებით, ტენდერის ჩატარების ზოგიერთი ოქმები დაკარგულია.

⁶ კომისიის თავმჯდომარე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაკურ მგელაძე.

⁷ „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულება, მუხლი 34, პუნქტი 21, ქვეპუნქტი 6 (2006 წლის 3 იანვარი)

ორმოცწეაროს წყალსადენი ხაზის მოწყობა

შპს „ჰაუსდიზაინმა“ 2009 წელს ტენდერში გამარჯვების შედეგად შეასრულა ქ. დმანისში ორმოცწეაროს წყალსადენი ხაზის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 175.6 ათასი ლარი. მიმწოდებელს ხელშეკრულების მიხედვით ევალებოდა მეორეული გამოყენების დ-300 მმ ლითონის მილების მონტაჟი მიწის ზედაპირზე, 8200 მეტრის სიგრძეზე. აღნიშნულ სამუშაოებზე მუნიციპალიტეტის დაკვეთით შედგენილი⁸ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, წყალსადენის მილის გრძივი მეტრის მონტაჟის (ჰიდრავლიკური გამოცდით) ღირებულებად დაფიქსირებულია - 2.56 ლარი (სულ, 20.9 ათასი ლარი), ხოლო შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელზეც გაფორმდა აღნიშნული ხელშეკრულება, მილის სამონტაჟო სამუშაოების ფასი განისაზღვრა გრძივ მეტრზე 3.15 ლარით⁹ (ჰიდრავლიკური გამოცდის გარეშე). შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულია 25.8 ათასი ლარი, ანუ თავდაპირველ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაზე 4.9 ათასი ლარით მეტი, ამასთან, არ შესრულდა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ჰიდრავლიკური გამოცდის სამუშაოები.

ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შპს „ჰაუსდიზაინს“ ასევე უნდა შეესრულებინა მეორადი გამოყენების 8000 გრძივი მეტრი დ-300 მმ მილის 2-ჯერ შეღებვა ზეთოვანი საღებავით, საერთო ღირებულებით - 36.3 ათასი ლარი, რაც წყალსადენის ხაზის მოწყობაზე გახარჯული მთლიანი თანხის 20%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის მიერ სრულად იქნა ანაზღაურებული. თუმცა, შესრულებული სამუშაოს აქტის მიხედვით ირკვევა, რომ დ-300 მმ მილი გამოყენებულია მხოლოდ 1700 გრძივ მეტრზე, ხოლო დანარჩენ 6300 მეტრზე გამოყენებულია სხვადასხვა დიამეტრის მილები¹⁰. ამასთანავე, წყალსადენის ხაზის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ მილების დამონტაჟებისას, მთელი სიგრძის დაახლოებით მესამედზე, გამოყენებულია პოლიეთილენით იზოლირებული

⁸ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „ხანელის“ მიერ.

⁹ შესაბამისი კალკულაციის წარმოდგენის გარეშე.

¹⁰ დ-250 მმ - 5000 გრძ. მეტრი, დ-220 მმ - 1000 გრძ. მეტრი, დ-330 მმ - 300 გრძ. მეტრი.

ლითონის მიღები, რომლებიც შედებვას არ საჭიროებს, შესაბამისად, მათზე სამღებრო სამუშაოები არ განხორციელებულა. მიუხედავად იმისა, რომ დამონტაჟებული მილები სხვადასხვა დიამეტრისაა (უმეტეს შემთხვევაში პროექტით გათვალისწინებულზე ნაკლები), ხოლო ნაწილი იზოლირებულია, მუნიციპალიტეტის მიერ სამღებრო სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია სრულად. ასევე აღსანიშნავია, რომ ლითონის მეორეული გამოყენების (კოროზიული) მილების სამღებრო სამუშაოებზე ხარჯის გაწევა წარმოადგენს არაეფექტურ ხარჯს.

დასუფთავების სამსახური

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2009-2010 წლებში დასუფთავების სამუშაოებს აწარმოებდა შპს „კომუნალური საწარმო“¹¹. აღნიშნულ სამუშაოებზე საბიუჯეტო ასიგნება 2009 წელს შეადგენდა 80,1 ათას ლარს, ხოლო 2010 წელს 120,0 ათას ლარს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის N3-11 დადგენილებით, დასუფთავების სამუშაოები გადაეცა გამგეობის კომუნალური მომსახურების განყოფილებას. კომუნალური მომსახურების განყოფილების მიერ დასუფთავების სამუშაოების შესრულების პერიოდში (2011-2012 წლები) დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გაზრდილია შესასრულებელი სამუშაოების პერიოდულობა და მოცულობები, კერძოდ, ზამთრის პერიოდში საყოფაცხოვრებო ნარჩენების კვირაში სამჯერ გატანის ნაცვლად, დაწესდა ყოველდღიური გატანა, ქ. დმანისის მიმდებარე სოფლებიდან კვირაში ორჯერადი გატანა შეიცვალა სამჯერადით, ხოლო დმანისის ტერიტორიაზე წყალსადინარი არხების გაწმენდაზე დაწესდა გრაფიკი, რომლის მიხედვით, მიუხედავად საჭიროებისა, უნდა გაწმენდილიყო ყოველ 10 დღეში ერთხელ, რაც შესაბამისად აისახა დასუფთავების სამუშაოებზე გამოყოფილ ასიგნებებზე. კერძოდ, მას შემდეგ, რაც დასუფთავების სამუშაოები გადაეცა გამგეობის კომუნალური მომსახურების განყოფილებას, მათზე გაწეულმა საკასო ხარჯმა 2011 წელს (10 თვის) შეადგინა 112.0 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს - 195.5 ათასი ლარი.

¹¹ მუნიციპალიტეტის 100%-ნი წილით.

საკრებულოს დეპუტატების ხარჯების ანაზღაურება

2011 წლის 26 აგვისტოს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი¹². აღნიშნული წესის მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობისათვის საკრებულოს წევრებისათვის ყოველთვიურად გათვალისწინებულია 150 ლარი, ხოლო ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და საკრებულოს (საკრებულოს თავმჯდომარის) დავალებების შესრულებისათვის - 100-დან 250 ლარამდე. 2012 წლის 25 მაისის დადგენილებით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობისათვის საკრებულოს წევრებს ანაზღაურების ოდენობა 150 ლარიდან გაეზარდათ 320 ლარამდე, ხოლო იმავე წლის 9 ნოემბრის დადგენილებით - 500 ლარამდე. ამ დადგენილების მიხედვით, საკრებულოს წევრებმა ყოველთვიურად უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია საქმიანობისას გაწეული დანახარჯების შესახებ, სათანადო ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტებით.

აღსანიშნავია, რომ 2011-2012 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად ხარჯის ანაზღაურების სახით სულ მიღებული აქვთ 97.4 ათასი ლარი, საიდანაც 41.7 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის ბუღალტერიაში გატარებულია როგორც შრომის ანაზღაურება, ხოლო 55.7 ათასი ლარი ჩამოწერილია ხარჯებში, ისე რომ თანხის მიმღებების მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

საკრებულოს წევრებისათვის თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად გაცემული თანხების შრომის ანაზღაურებაზე მიკუთვნება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებებს. საკრებულოს წევრებისათვის ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გაცემული თანხები უნდა აღრიცხოს როგორც

¹² ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის (მუხლი 32⁶, პუნქტი 6) საფუძველზე.

ხარჯები და ჩამოიწეროს მხოლოდ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.¹³

ინერტული მასალის მოპოვება

მუნიციპალიტეტის მიერ 2009-2012 წლებში გზების მოხრეშვით სამუშაოებზე, რომლებიც ძირითადად განხორციელებულია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, გახარჯულია 489.7 ათასი ლარი¹⁴. მიმწოდებლის მიერ ინერტული მასალის გამოყენება ხდებოდა ადგილობრივი კარიერებიდან, რომლის გამოყენებაზე ოფიციალური ნებართვა აუდიტის მსვლელობისას ვერ წარმოადგინეს. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულებით (მუხლი 3), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაიშვება მხოლოდ ლიცენზიის საფუძველზე.

ადგილობრივი კარიერიდან ინერტული მასალების მოპოვებაზე მომწოდებლები ვალდებული იყვნენ აეღოთ ლიცენზია და გადაეხადათ შემდეგი მოსაკრებლები:

- ინერტული მასალების მოპოვებაზე სალიცენზიო მოსაკრებელი.
- ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებელი (1 კუბ.მ ინერტულ მასალაში 0,2 ლარი)¹⁵.

სულ, 2009-2011 წლებში მომწოდებლებმა მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, ადგილობრივი კარიერებიდან მოიპოვეს დაახლოებით 76 ათასი კუბ.მ ინერტული მასალა, რომლისთვისაც ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებლის სახით უნდა გადაეხადათ დაახლოებით 15.2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში მიმწოდებლის მიერ გადახდილი არ არის.

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N1321 “ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2,3 პუნქტები.

¹⁴ 2010 წელს 159,3 ათასი ლარი, 2011 წელს 52,2 ათასი ლარი, 2012 წელს 278,1 ათასი.

¹⁵ საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“

შესრულებული სამუშაოს აქტებში (ფორმა N2) დაფიქსირებული ინერტული მასალის ღირებულება (0, 7, 13, 14.2 ლარი), შემსრულებლების განმარტებით, გულისხმობს მასალის მოპოვების ღირებულებას და საერთო ჯამში შეადგენს **195,6 ათას ლარს**, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულია შესაბამისი გაანგარიშების გარეშე. სამუშაოს შემსრულებლების მიერ მასალის ღირებულებად ნული ლარის დაფიქსირების შემთხვევაში შესაბამისი თანხები გადანაწილებულია და გაზრდილია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სახელფასო და სატრანსპორტო ხარჯები. აღნიშნული მიანიშნებს, რომ მოხრეშვითი სამუშაოს ხარჯთაღრიცხვები და შესრულებული სამუშაოს აქტები შედგენილია ხარვეზებით და ფორმალური ხასიათისაა. შესრულებული სამუშაოების რეალობისა და გაფორმებული დოკუმენტების სისწორის დასადგენად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს შემდგომი საექსპერტო გამოკვლევების ჩატარებას.

იჯარები

2009-2012 წლებში, დმანისის მუნიციპალიტეტმა იჯარით გასცა 10.7 ათასი ჰა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა (სამოვარი). აქედან, პირდაპირი განკარგვის წესით - 5.6 ათასი ჰა, აუქციონის წესით - 5.1 ათასი ჰა. აღნიშნულ პერიოდში თვითმმართველ ერთეულში არ არსებობდა საკრებულოს მიერ მიღებული წესი-ინსტრუქცია სამოვრების საიჯარო ქირის დადგენის შესახებ. პირდაპირი განკარგვის წესით გაცემული ფართობებისთვის საიჯარო ქირად ხელშეკრულებით განსაზღვრულია 3 ლარი 1 ჰა-ზე, ხოლო აუქციონის წესით გაცემული ფართობებისათვის, საიჯარო ქირა შეადგენს სააუქციონო საწყის ფასს (3 ლარი) დამატებული ის განაკვეთი, რომელსაც აუქციონში მონაწილე განსაზღვრავდა თავისი სურვილის შესაბამისად (საშუალოდ, 1 ჰა - 2 ლარი). იჯარით გაცემულ ფართობებზე (სამოვარი) საიჯარო ქირის განსაზღვრის წესის არარსებობის შედეგად, ფართობები გაცემულია არაგონივრულად დაბალ ფასებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა შეიმუშავოს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე

(სადოვარი) საწყისი საიჯარო ფასის განსაზღვრის წესი, რომელიც უზრუნველყოფს საიჯარო ფასების საბაზრო ფასებთან შესაბამისობას და მეტი შემოსავლების მიღებას.

ხელშეკრულებების მიხედვით, მუნიციპალიტეტს 2009-2012 წლებში სასოფლო სამეურნეო მიწებიდან (სადოვარი) საიჯარო შემოსავლის სახით უნდა მიეღო 156.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად მიღებული აქვს 27.4 ათასი ლარი, ანუ 129.4 ათასი ლარით ნაკლები.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით,¹⁶ მიწების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემისას ხელშეკრულებით საიჯარო ქირად დადგენილი თანხა მუნიციპალიტეტის მიერ მიიჩნეოდა მიწის მოსარგებლის გადასახდელი ქონების გადასახადად და გადასახადის გადახდის შემთხვევაში, მოიჯარეს ხშირ შემთხვევაში შესრულებულად ეთვლებოდა საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებაც. შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით გაცემული ფართობებით მოსარგებლებს, მუნიციპალიტეტის მიერ მოეთხოვებოდა მხოლოდ ქონების გადასახადის გადახდა (3 ლარი). აუქციონის წესით გაცემულ ფართობებზე საწყისი ფასი - 3 ლარის გადახდით მეიჯარეს ეთვლებოდა ქონების გადასახადის გადახდა, ხოლო საწყის ფასზე დამატებულ თანხას მეიჯარე იხდიდა, როგორც იჯარის გადასახადს.

აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, მოიჯარეებს ევალდებოდათ საიჯარო თანხების სრულად გადახდა ხელშეკრულებაში მითითებულ შესაბამის სახაზინო ანგარიშზე. აგრეთვე, კანონმდებლობის (საგადასახადო კოდექსი)¹⁷ შესაბამისად, მოიჯარეებს საიჯარო ქირისგან დამოუკიდებლად დამატებით უნდა გადაეხადათ ქონების გადასახადი. 2009-2012 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ქონების

¹⁶ საკრებულოს თავჯდომარისა და იურიდიულ საკითხებში წამყვანი სპეციალისტის ახსნა განმარტება

¹⁷ საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის მე-6 დამე-7 პუნქტი (2009წელი) , 204-ე მუხლის ა.ა ქვეპუნქტი (2010წლიდან)

გადასახადის სახით უნდა შესულიყო დაახლოებით 304 ათასი ლარი¹⁸. დმანისის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ ვერ იქნა ინფორმაცია წარმოდგენილი მოიჯარეების მიერ ქონების გადასახადის სახით გადასახდელი თანხიდან რა რაოდენობის შემოსავალი მიიღო ადგილობრივმა ბიუჯეტმა.

დმანისის მუნიციპალიტეტში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის (იჯარა) ფორმით გაცემის საკითხების ორგანიზება. ასევე, არ არის დაწესებული შესაბამისი კონტროლი საიჯარო ქირის ამოღების პროცედურებზე, რის გამოც მუნიციპალიტეტში არ ფლობენ ინფორმაციას წლის განმავლობაში მისაღებ საიჯარო შემოსავლებზე, კონკრეტული პერიოდისათვის არსებულ საიჯარო დავალიანებებსა და მოიჯარეების მიერ განხორციელებულ გადახდებზე.

პრემიები და საკადრო პოლიტიკა

2012 წელს, 2010 წელთან შედარებით, დმანისის მუნიციპალიტეტში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა გაზრდილია 65 საშტატო ერთეულით (88 ერთეულიდან 153 ერთეულამდე). საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, შტატების ზრდა ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში სპეციალისტების თანამდებობის დამატებით და ამას გარდა, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურისთვის ქალაქის დასუფთავების სამსახურის შემოერთებით, რომელიც 2011 წლამდე ჩამოყალიბებული იყო როგორც შპს „კომუნალური საწარმო“. აღსანიშნავია, რომ საშტატო განრიგის მიხედვით შპს „კომუნალურ საწარმოში“ დასაქმებული იყო 23 თანამშრომელი, ხოლო დასუფთავების ფუნქციების გამგეობაზე გადაცემის შემდეგ, შესაბამისი სამსახურის თანამშრომელთა ხარჯზე გამგეობის საშტატო ნუსხა გაიზარდა 44 ერთეულით, ანუ თითქმის ორჯერ. მუნიციპალიტეტის

¹⁸ ქონების გადასახადის განაკვეთი 1 ჰა მიწაზე 2009-2010 წლებში შეადგენდა - 3 ლარს, 2011 წელს - 15 ლარს, ხოლო 2012 წლის 27 მარტიდან - 16 ლარს.

ხელმძღვანელობის მხრიდან ვერ იქნა დასაბუთებული სამტატო ერთეულების ზრდის მართებულობა და მიზანშეწონილობა.

სამტატო რიცხოვნობის ზრდის შესაბამისად, აუდირებულ პერიოდში ასევე გაზრდილია შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯების ოდენობა, კერძოდ, 2009 წელს შრომის ანაზღაურების მუხლიდან გახარჯულია 736.1 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს - 1.2 მლნ ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2009-2012 წლებში შრომის ანაზღაურების მუხლიდან პრემიის სახით მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე გაცემულია 1.2 მლნ ლარი¹⁹, რაც აუდირებულ პერიოდში შრომის ანაზღაურების მუხლით გაცემული თანხის 33%-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებსა და თანამშრომლებზე პრემიის გაცემის საფუძველია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება. გამოცემულ ბრძანებებში არ არის განმარტებული თანამშრომლების წახალისების მიზეზი ან კონკრეტული მიღწევები, ხოლო ბრძანების საფუძველად მოყვანილია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი²⁰. მოსამსახურეებზე პრემიის სახით გაცემული თანხებიდან მეტი წილი მოდის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებზე²¹, რომელთა მიერ მიღებული პრემიის თანხები უთანაბრდება მათ წლიურ თანამდებობრივ სარგოებს. 2012 წელს მუნიციპალიტეტის გამგებელს²² მიღებული აქვს პრემია 28.6 ათასი ლარი, რაც წლიური თანამდებობრივი სარგოს 99%-ს შეადგენს, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარეს²³ - 25.2 ათასი ლარი, თანამდებობრივი სარგოს 89%.

პირგასამტეხლოს დაკავება

აუდირებულ პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა მომწოდებლებზე, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოთხოვნათა

¹⁹ 2009 წელს - 225,7 ათასი ლარი, 2010 წელს - 267,4 ათასი ლარი, 2011 წელს - 250,5 ათასი ლარი, 2012 წელს - 441,1 ათასი ლარი.

²⁰ „საკრებულოს თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებებს საკრებულოს აპარატისა და გამგეობის მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“.

²¹ საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი და მათი მოადგილეები, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები, გამგეობის სამსახურების ხელმძღვანელები.

²² გამგებელი - თენგიზი მიროტაძე.

²³ საკრებულოს თავმჯდომარე - ზაკური მგელაძე.

შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების არაჯეროვან ან დაგვიანებით შესრულებაზე დაკისრებულია საჯარიმო სანქციები (პირგასამტეხლო).

საჯარიმო თანხების მისაღებად მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არ არის შემუშავებული შესაბამისი მექანიზმები და მათი ამოღება ხდება გარკვეული ნაკლოვანებებით და სისტემური ხარვეზებით. კერძოდ, თანხების გადახდა ხდება არა შემსრულებლების მიერ შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვით, არამედ მათ გადასახდელი თანხები უკავდებათ მთლიანი მისაღები თანხებიდან, რაც გავლენას ახდენს შემდეგზე:

- არ ხდება საჯარიმო თანხების ასახვა საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ შემოსავლების მუხლში.
- შეუსაბამოა არის შესრულებულ სამუშაოზე გაწეული ფაქტობრივ და საკასო ხარჯებზე.

სულ აუდირებულ პერიოდში სხვადასხვა მომწოდებლებზე პირგასამტეხლოს სახით დაკავებულია 8380 ლარი.

საპროცენტო შემოსავლები

დმანისის მუნიციპალიტეტს ანგარიშსწორების ანგარიში გახსნილი აქვს სს „ლიბერთი ბანკის“ დმანისის ფილიალში. 2010 წლის 1 დეკემბერს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მუნიციპალიტეტს მიმდინარე ანგარიშის ყოველდღიურ ნაშთზე ერიცხება წლიური 17% სარგებელი. აღნიშნული შეთანხმების თანახმად (ბანკის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად), მუნიციპალიტეტს 2011-2012 წლებში დაერიცხა სარგებელი 385.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის საბალანსო მონაცემებით, 2011-2012 წლებში პროცენტის სახით მიღებული აქვს 241.3 ათასი ლარი. სხვაობა **144.6 ათასი ლარი** სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ, დმანისის მუნიციპალიტეტის თანხმობით, ისე რომ არ დარიცხულა ადგილობრივი თვითმმართველობის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე და არც ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებში ასახულა, გადაეცა ქ.რუსთავის მერიას.

გადარიცხვის საფუძველს წარმოადგენდა სამმხრივი შეთანხმება დმანისის მუნიციპალიტეტს, თვითმართველ ქალაქ რუსთავსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის სხვადასხვა სახის ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

აღურიცხავი აქტივები

2011 წლის 9 სექტემბერს, დმანისის მუნიციპალიტეტსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფს“ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მუნიციპალიტეტს ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების ხელშეწყობის მიზნით (უსასყიდლოდ), გადაეცა 2.6 ათასი ლარის სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკა²⁴. მიღებული კომპიუტერული ტექნიკა საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ისე გადაეცა მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურს, რომ არ განხორციელებულა მისი ბუღალტრულად აღრიცხვა და შემოსავალში აყვანა. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტური მტკიცებულებებით (ორგანიზაციის ბალანსი და პასუხისმგებელი პირის ახსნა-განმარტება).

საწვავის ხარჯი

მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მომსახურე ავტომანქანებზე შედგენილი საგზურის ფორმა, მისი შევსების წესი და მასში ჩაწერილი მაჩვენებლები მიუთითებს, რომ საგზურის ფურცლები ვერ ჩაითვლება საწვავის ხარჯვის დამადასტურებელ სარწმუნო მტკიცებულებად, რადგან არ არის გამოყვანილი გარბენილი კილომეტრაჟის საერთო რაოდენობა და შესაბამისი ჩამოსაწერი საწვავის ოდენობა.

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა საწვავი ჩამოწერა ძირითადად მოხსენებითი ბარათების მიხედვით, სადაც მითითებულია გახარჯული საწვავის ოდენობა და მანქანის მოძრაობის მარშრუტი, აგრეთვე, არის ჩანაწერი „სამსახურობრივი მოვალეობის შესასრულებლად“ მაგრამ არ არის აღნიშნული გარბენილი კილომეტრაჟი. გარდა მუნიციპალიტეტის სამსახურობრივი

²⁴ ლეპტოპი, სამაგიდო კომპიუტერი, პრინტერი, ციფრული ფოტო-კამერა, მონიტორი, ups და ა.შ.

ავტომანქანებისა, საწვავი აგრეთვე გაცემულია მუნიციპალიტეტის თანამშრომლების პირად ავტომანქანებზე გამოსაყენებლად. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, აუდირებულ პერიოდში თანამშრომლების კერძო ავტომანქანებზე გაცემულია 33.6 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. აღსანიშნავია, რომ კერძო ავტომანქანებზე გაცემული საწვავის სახით გაცემული სარგებელი არ არის დაბეგრული კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადით.

შესყიდვები

საქონლისა და მომსახურების შესყიდვის პროცესში მუნიციპალიტეტის მიერ დაშვებულია სხვადასხვა სახის უზუსტობები და ხარვეზები, კერძოდ:

- 2011 წლის 1 ივლისს, მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების სარემონტო სამუშაო, ღირებულებით - 6.6 ათასი ლარი. მონეტარული ზღვრებიდან გამომდინარე განხორციელებული შესყიდვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ითვალისწინებდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის პროცედურების ჩატარებას, მაგრამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, როგორც გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე.
- 2009 წლის 5 თებერვალს, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, შეძენილია ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების სამუშაოები, ღირებულებით - 73.3 ათასი ლარი. ჩატარებული შესყიდვა მონეტარული ზღვრებიდან გამომდინარე, ექვემდებარებოდა ფასთა კოტირების საშუალების გამოყენებას. აღნიშნული შესყიდვის საშუალების მიზანშეწონილობა ვერ იქნა განმარტებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ.
- 2011-2012 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად შესყიდვის ხელშეკრულებები, საერთო ღირებულებით 189.0 ათასი ლარი, გაფორმებულია ი/მ „ლევან მოსეშვილთან“ და შპს „ლე-მოსთან“ (მესაკუთრე

ერთი და იგივე პირია)²⁵. 2011 წელს ხელშეკრულებები ფორმდებოდა ი/მ „ლევან მოსევილთან“, მაგრამ სახელშეკრულებო თანხების დღგ-ის დასაბეგრ ბრუნვამდე მიახლოების შემდეგ (89.0 ათასი ლარი)²⁶, მუნიციპალიტეტი ხელშეკრულებებს აფორმებდა შპს „ლე-მოსთან“, რომელთანაც 2012 წლის განმავლობაში გაფორმებულია 100.2 ათასი ლარის ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (სულ, 31 ხელშეკრულება) 17 გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის ფორმით, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში, გამოვლენილია გამარჯვებულად ტენდერებში, რომლებიც ძირითადად მიმდინარეობდა უკონკურენტო გარემოში. გაფორმებული ხელშეკრულებები შეეხება სხვადასხვა პროფილის სამუშაოების შესრულებას და საქონლის მოწოდებას, კერძოდ; ავტომანქანების რემონტი, გზების რემონტი, სამშენებლო სამუშაოები, სარიტუალო დარბაზის აღჭურვილობის, შეშის, ავეჯის შეძენა და სხვ.

2011-2012 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების უმეტესობა (22 ხელშეკრულება: მათ შორის, 7-გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, 15-გამარტივებული შესყიდვა) საერთო ღირებულებით 99.8 ათასი ლარი, შეეხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რემონტს. აღსანიშნავია, რომ შპს „ლე-მოს“ არ გააჩნია შესაბამისი მომსახურების სერვისცენტრი და ის შესასრულებელ სამუშაოებს უკვეთდა სხვა ავტომანქანების მომსახურების სერვის-ცენტრებს, ანუ ასრულებდა შუამავლის ფუნქციებს. მუნიციპალიტეტის მიერ მსგავსი ხელშეკრულებების უშუალოდ სამუშაოს შემსრულებლებთან გაფორმების შემთხვევაში შესაძლებელი იყო შუამავლობაზე გაწეული ხარჯების დაზოგვა, რომლის ზუსტი ოდენობა მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის ცალკე დაფიქსირებული.

არამიზნობრივი ხარჯი

ავტობუსების შესყიდვა

²⁵ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კომისიის თავმჯდომარის დავით მოსევილის შვილი.

²⁶ სავარაუდოდ დღგ-ის გადასახადისგან თავის არიდების მიზნით.

2009-2011 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამგზავრო-სატრანსპორტო უზრუნველყოფას ახორციელებდა შპს „დმანისტრანსპორტი“, რომლის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი იყო დმანისის მუნიციპალიტეტი. შპს „დმანისტრანსპორტს“ 2009 წელს ერიცხებოდა სამი ავტობუსი. ვინაიდან მუნიციპალიტეტს არ გააჩნია შიდა მიმართულების მარშრუტები, შპს „დმანისტრანსპორტი“ მუნიციპალიტეტის დაკვეთით (სუბსიდიური დაფინანსებით), საჭიროების მიხედვით, უფასო მომსახურებას უწევდა სტუდენტების, ვეტერანების, დევნილების და სოციალურად დაუცველთა მგზავრობას, რისთვისაც, შპს „დმანისტრანსპორტის“ ყოფილი დირექტორის განმარტებით, მათ მფლობელობაში მყოფი ავტობუსები სრულიად საკმარისი იყო. მაგრამ 2009 წელს მუნიციპალიტეტის გამგებლის²⁷ ბრძანებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა მიმოსვლისათვის შეძენილია ოთხი ახალი „ბოგდანის“ მარკის ავტობუსი, საერთო ღირებულებით - 270.0 ათასი ლარი.

2011 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით, აღნიშნული ავტობუსები (ორ სხვა ავტომანქანასთან ერთად, სულ - 9 ერთეული) 10 წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა ი/მ „ალექსი მუჯირიშვილს“²⁸, წლიური საიჯარო ღირებულებით - 16.1 ათასი ლარი. მიუხედავად 10 წლიანი იჯარისა, ერთ წელიწადში, კერძოდ, 2012 წლის 13 დეკემბრის ბრძანებით²⁹ საიჯარო ხელშეკრულება გაუქმდა, რის შემდეგ მოიჯარისათვის გადაცემული 7 ავტობუსიდან მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა 4, ხოლო 3 ავტობუსი, რომელიც საიჯარო პერიოდში გამოვიდა მწყობრიდან, ჯერჯერობით ი/მ „ალექსი მუჯირიშვილის“ განკარგულებაშია, საჭიროებს შეკეთებას და მუნიციპალიტეტს უნდა დაუბრუნდეს.

აღსანიშნავია, რომ იჯარით გაცემული სატრანსპორტო საშუალებების წლიური ცვეთის ხარჯი შეადგენს - 64.3 ათას ლარს, ხოლო მათი გაქირავებით მიღებული საიჯარო შემოსავალი შეადგენს მხოლოდ - 16.1 ათას ლარს, რაც ოთხჯერ ნაკლებია სატრანსპორტო საშუალებების ცვეთის ხარჯთან შედარებით.

²⁷ დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბაკურ მგელაძე.

²⁸ შპს „დმანისტრანსპორტის“ ყოფილი დირექტორი.

²⁹ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბ. მგელაძის ბრძანება.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიანიშნებს იმაზე, რომ ავტობუსები არ იყო შეძენილი მოსახლეობის საჭიროებიდან და მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე.

ტრენაჟორი

2012 წლის 17 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით, დმანისის მუნიციპალიტეტს 1.4 ათას ლარად შეძენილი აქვს ორძრავიანი სარბენი ბილიკი (ტრენაჟორი). პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ტრენაჟორი შეძენილია საკრებულოს თავმჯდომარის მოთხოვნით, პირადი მოხმარებისათვის და განთავსებულია მის სამუშაო კაბინეტში, რაც ასევე დადასტურდა აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზუალური დათვალიერებით. მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სპორტული ინვენტარი არ შეესაბამება მისი საქმიანობის სფეროს, ხოლო იმ ვითარებაში, როდესაც უსახსრობის გამო მუნიციპალიტეტს არ გააჩნია შესაბამისი პირობები თავისი ფუნქციების სრულფასოვანი შესრულებისათვის³⁰, პირადი მოხმარებისათვის სპორტული ინვენტარის შეძენა მიანიშნებს ბიუჯეტური სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაზე.

მოქალაქეთა მისაღების პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა

2009 წლის 11 ნოემბერს მუნიციპალიტეტის მიერ, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტის³¹ სახსრებით, „მოქალაქეთა მომსახურების განყოფილების დაარსებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების“ ფარგლებში, 4.0 ათას ლარად შეძენილია მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერული სისტემა. მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილების თანამშრომლების განმარტებით, კომპიუტერული პროგრამის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ მოწესრიგდა დოკუმენტბრუნვა, შეიქმნა შემოსული და გასული წერილების, მოქალაქეთა განცხადებებისა და შიდა დოკუმენტების ერთიანი მონაცემთა ბაზა, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა

³⁰ მუნიციპალიტეტის სამუშაო ოთახები გაურემონტებელია; ბუღალტერიას არ გააჩნია ელექტრონული საბუღალტრო პროგრამა.

³¹ გაეროს განვითარების პროგრამა.

მოქალაქეთა მომსახურების პირობები. მიუხედავად აღნიშნულისა, 2011 წლის 22 ივლისს, მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, გაუქმდა მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება და პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერული სისტემის ექსპლოატაცია შეჩერდა, ხოლო თვით კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მუნიციპალიტეტის ბუღალტერიის მიერ აღრიცხულია როგორც არაფინანსური აქტივი და ერიცხება შესაბამისი ცვეთის ხარჯი, დღეის მდგომარეობით დაკარგულია (წაიშალა).

გარდა აღნიშნულისა, „მოქალაქეთა მომსახურების განყოფილების დაარსებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების“ პროექტის ფარგლებში ასევე გახარჯულია 13.0 ათასი ლარი,³² რაც ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულ არაეფექტიან ხარჯს.

სახაზინო (საბიუჯეტო) კომპიუტერული პროგრამა

2008 წლის 16 აპრილს მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ართიგონისაგან“ 10.0 ათას ლარად შეძენილია სახაზინო (საბიუჯეტო) კომპიუტერული პროგრამა. მიუხედავად პროგრამის ღირებულებისა და ხანგრძლივი მომსახურების ვადისა, კომპიუტერული პროგრამა აღირიცხა ოფისის ხარჯებში და ნაცვლად მისი არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში ასახვისა, მუნიციპალიტეტის ბუღალტერიაში პროგრამის ღირებულება ჩამოიწერა წლიურ ხარჯებში. აღნიშნული პროგრამით მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ისარგებლა 2008-2009 წლებში, ხოლო შემდგომ პერიოდში, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პასუხისმგებელი პირის განმარტებით³³, შიდა სარემონტო სამუშაოების დროს მოხდა ქსელის გათიშვა და სისტემის წაშლა. შეძენილი აქტივის სწორად აღრიცხვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა დაკარგული პროგრამის ღირებულების მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე დაკისრება და მიღებული ზარალის კომპენსირება.

³² პროექტის კოორდინატორის შერჩევა, ინტერნეტის ანტენის შეძენა, განყოფილების თანამშრომლებისათვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება და ა.შ.

³³ მთავარი სპეციალისტი საბუღალტრო აღრიცხვის საკითხებში - ლ. მურჯიკნელი.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, დმანისის მუნიციპალიტეტის საქმიანობა 2009-2012 წლებში ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით განხორციელებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები

უფროსი აუდიტორი:

ბადრი ჯანჯღავა

ხელმოწერა  თარიღი 4.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

ირმა ხეცურიანი

ხელმოწერა  თარიღი 4.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

ქრისტინე ეკალაძე

ხელმოწერა  თარიღი 4.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

თამთა გელაშვილი

ხელმოწერა  თარიღი 4.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

თეა არველაძე

ხელმოწერა  თარიღი 4. 11. 2013

აუდიტორ-ასისტენტი:

ბარამ ონიანი

ხელმოწერა  თარიღი 4. 11. 2013.